დანართი 1

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის _____ ნოემბრის
N_____ ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „წლის ხელოვანი“-ს ფარგლებში წარმატებული ხელოვანების შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „კულ-ტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა", ღონისძიების „წლის ხელოვანი“ (შემგომში - ღონისძიება) ფარგლებში, კონკურსის ჩატარების წესი განსაზღვრავს ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენ-ციებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ღონისძიების ფარგლებში, მიმდინარე წლის 10 წარმატებული ხელოვანის გამოვლენა, ხორციელდება კონკურსის წესით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძა-ნებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - კომისია) სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გათვალისწინებით/საფუძველზე, მერის ბრძანებით.

3. ღონისძიების ნომინანტად სახელდება კულტურის სფეროში მოღვაწე ნებისმიერი ფიზი-კური პირი (შემდგომში - ნომინანტი), საქართველოს მოქალაქე, თუ ის აკმაყოფილებს აღნიშნული წესით განსაზღვრულ პირობებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის რეგისტრირებულია ქ. ბა-თუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანები

1. ღონისძიების მიზანია, კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა, მხარდაჭერა, ხელოვანთა სტიმულირება, წახალისება.

2. ღონისძიება ითვალისწინებს:

2.1. მიმდინარე წელს კულტურის დარგში (თეატრი, მუსიკა, ქორეოგრაფია, ლიტერატურა (დრამატურგია, პოეზია, პროზა), კინომატოგრაფია (დოკუმენტური კინო, ანიმაციური ფილმები, მხატვრული კინო), ფოტოხელოვნება, მოქანდაკეობა (სკულპტურა), ხუროთმოძღვრება (არქიტექ-ტურა), მხატვრობა), 10 წარმატებული ხელოვანის გამოვლენას, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნე-ლოვან - თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ პროფესიულ წარმატებებს ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ და პირადი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებაში და პოპულარიზაციაში, წარმოჩენაში, აღიარებაში.

2.2 წლის ნებისმიერ დროს ან ყოველი წლის დეკემბრის თვეში - დაჯილდოების ოფიცი-ალური ცერემონიალის გამართვას.

მუხლი 3. ნომინანტები/ნომინაციები/ჯილდოები

1. ღონისძიების „წლის ხელოვანი“ ნომინაციები/ჯილდოები:

1.1 „რჩეული ხელოვანი“ (ხელოვანი, რომელმაც მიმდინარე წელს მიაღწია განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებას, რომელიც გამორჩეულია პროფესიული ოსტატობით, კვალიფიკაციით, კულტურის/ხელოვნების იდეალების ერთგული მსახურებით და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება) - ერთი გამარჯვებული/მერიის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი (შემდეგში - პრიზი) და ფულადი ჯილდო (ერთჯერადი გასაცემლის სახით) – 3 000 ლარი"

1.2 „წლის ხელოვანი“ (ხელოვანი, რომელმაც მიმდინარე წელს მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას და თავისი პროფესიული საქმიანობით, ღვაწლით, შემოქმედებით მოიპოვა/დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება) - სამი გამარჯვებული / პრიზი და ფულადი ჯილდო - 4 500 ლარი / 3 პირი × 1 500 ლარი.

1.3 „წლის დებიუტანტი“ (ახალგაზრდა ხელოვანი - „წლის დებიუტანტი“, „აღმოჩენა“, რომელმაც მიმდინარე წელს მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას თავისი პროფესიული საქმიანობით და შემოქმედებითი კარიერის საწყისზე - დებიუტზე დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება) - ერთი გამარჯვებული / პრიზი და ფულადი ჯილდო - 500 ლარი.

1.4 „დიდასკალოსი“ (აღმატებული ხელოვანი - ქვეყნის, ხალხის, საქმის ერთგული, განსაკუთრებით გამორჩეული, აღიარებული პროფესიონალი... ხელოვანი, რომელმაც მიმდინარე წელს მიაღწია უმნიშვნელოვანეს წარმატებას, რომელიც საზოგადოებრივი ღვაწლით თუ პროფესიული საქმიანობით, თავისი შემოქმედებით, ემსახურება ხელოვნების განვითარებას, ეროვნული კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას - მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ღირებულებების, უძველესი ტრადიციებისა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის თვითმყოფადობის - ქართული ფასეულობების ექსპორტირებას) - ხუთი გამარჯვებული / პრიზი და ფულადი ჯილდო – 5 000 ლარი / 5 პირი × 1 000 ლარი.

2. ნომინანტი შეიძლება იყოს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თვითშემოქმედებით კოლექტივებში დასაქმებული პირი ან/და კულტურის სფეროში მოღვაწე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კულტურის განვითარებაში შეაქვს პირადი, განსაკუთრებული წვლილი, რომელმაც მიმდინარე წელს მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება და ქმნის ახალ შესაძლებლობებს კულტურის საზღვრების გაფართოებაში.

3. ნომინანტი, თავისი მოღვაწეობით უნდა ემსახურებოდეს კულტურის პოპულარიზაციას, ქალაქ ბათუმის / რეგიონის / ქვეყნის წარმოჩენას, აღიარებას.

მუხლი 4. ავტორიზაცია

1. ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, ნომინანტის წამოყენების უფლება აქვს:

1.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს;

1.2 ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თვითშემოქმედებით კოლექტივებს;

1.3 მოქალაქეთა არანაკლებ 20 კაციან საინიციატივო ჯგუფს.

2. ღონისძიება „წლის ხელოვანი“ წლის 10 წარმატებულ ხელოვანთა გამოვლენა - დაჯილდოების მიზნით, ნომინანტების წარდგინების თაობაზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, უფლებამოსილი პირი - აპლიკანტი, განაცხადით (დანართი 2) მიმართავს მერს.

3. ერთი ნომინანტი შეიძლება წარდგენილი იყოს სხვადასხვა ნომინაციაზე (მუხლი 3.), მაგრამ არაუმეტეს 3-სა. ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი პიროვნება - ერთი ნომინაცია.

4. რამდენიმე ნომინანტის წარდგენის შემთხვევაში, თითოეულ ნომინანტზე ივსება ახალი განაცხადი. ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი ნომინანტი - ერთი ნომინაცია;

5. მერია უფლებამოსილია:

5.1. საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;

5.2. კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე, კონკურსიდან მოხსნას აპლიკანტი, რომლის მონაცემები არ შეესაბამება მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას;

5.3. ამა თუ იმ ნომინაციაზე წარდგენილი კანდიდატი, განაცხადის წარმდგენთან შეთანხმებით და წერილობითი თანხმობით (დაზუსტება/კორექტირება), განიხილოს იმ ნომინაციაზე, რომელიც გაცილებით უფრო მეტად მიესადაგგება ნომინანტის მონაცემებს.

6. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტის მიღება / მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

1.1. შევსებული განაცხადი;

1.2. ბიოგრაფიული მონაცემები;

1.3. ნომინანტის ღირსების, ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი დოკუმენტური და სხვა სახის თანდართული აუდიო/ვიდეო მასალა, საბუთები (მათი არსებობის შემთხვევაში);

1.4. ფოტოსურათი (ერთი ცალი);

1.5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

1.6. ცნობა რეგისტრაციის (საცხოვრებელი ადგილის) შესახებ;

1.7. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, კანონიერი წარმომადგენლის (დედის ან მამის) პირადობის მოწმობის ასლი და განმცხადებლის დაბადების მოწმობის ასლი.

1.8. სარეკომენდაციო წერილები:

1.8.1. ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და თვითშემოქმედებითი კოლექტივების შემთხვევაში - დარგობრივი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო). ასევე, დასაშვებია სხვა ნებისმიერი;

1.8.2. საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში - დარგობრივი (აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან) და პროფილური. ასევე, დასაშ-ვებია სხვა ნებისმიერი;

1.9. წარმდგენი/დაინტერესებული პირის მიერ (შემდგომში - აპლიკანტი), შემოტანილი განაცხადი (რეგისტრაცია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარ-მოების განყოფილება/ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25), თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკ-ვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით, გადაეცემა ქ. ბათუ-მის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

1.10. განყოფილება:

1.10.1. არეგისტრირებს განაცხადს - შეჰყავს ინფორმაცია ნომინანტთა რეესტრში;

1.10.2. შეისწავლის განაცხადს და თუ დოკუმენტაცია შეესაბამება წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებს, მასალები წარედგინება კომისიის წევრებს;

1.10.3. არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, წარმდგენს წერი-ლობით ეცნობება აღნიშნულის შესახებ (ხარვეზის აღმოფხვრა, დაფინანსების კორექტირება, პროექტის დაზუსტება თუ სხვა ნებისმიერი დეტალი). ასევე, განხორციელდება კომუნიკაცია, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით (წერილის გადაგზავნის

თაობაზე)), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;

1.10.4. ამზადებს მოხსენებით ბარათს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესთან შესაბამისობის თაობაზე.

2. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას კომისიური წესით. ამასთან, ტექნიკური შესაძლებლობების არსებობისა და კომისიის თავმჯდომარის თანხმობით, პროცესის გამჭვირვალეობის, მოქალაქეთა მონაწილეობის, თანამშრომლობის და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაშვებია, მეორე ეტაპზე, გარდა კომისიური წესით განაცხადების განხილვისა, შემოღებულ იქნეს ხმის მიცემის / გამოკითხვის ელექტრონული წესი (იხილეთ მუხლი 9. პუნქტი 5.)

მუხლი 6. განაცხადების მიღებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს აღნიშნული წესის დამტკიცების დღიდან, მიმდინარე წლის 12 დეკემბრის სამუშაო დღის ჩათვლით.

2. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს მიმდინარე წლის 18 დეკემბრამდე.

3. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული პირების დასახელება/გამოცხადება განხორციელდება დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიალზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ბოლოს.

მუხლი 7. სამუშაო ჯგუფის - კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისია:

1.1. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესით;

1.2. კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით;

1.3. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფ-ნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.4. კომისია ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;

1.5. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი.

1.6. კომისია შეიმუშავებს და ამზადებს წინადადებებს;

1.7. კომისია ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

1.8. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

1.9. კომისია განიხილავს განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს საუკეთესო შედეგების მქონე ნომინანტებს, თითოეული ნომინაციის მიხედვით და გასცემს რეკომენდაციებს;

2. კომისიის თავმჯდომარე:

2.1. წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

2.2. კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგებისა შესახებ და „ფულადი ჯილდო“ (ერთჯერადი გასაცემლის სახით) პროექტს.

3. კომისიის მდივანი:

3.1. ახორციელებს შემოსული და გასული კორესპონდენციის (განაცხადების) რეგისტრაციას (წინასწარ შემუშავებული ცხრილის მიხედვით), ასევე, დაინტერესებული პირების / წარმდგენთა დოკუმენტაციის შესწავლას/მოკვლევას, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას, კომისიის შეხვედრების ორგანიზებას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;

3.2. კომისიას მოახსენებს/გააცნობს განაცხადებს თითოეულ ნომინანტზე, თითოეული ნომინაციის მიხედვით;

3.3. კომისიის წევრთა მიერ, შევსებული შეფასების ცხრილების მიხედვით, ახდენს დაჯამებას, საბოლოო შედეგების გამოსავლენად.

3.4. ამზადებს კომისიის რეკომენდაციისა და „ფულადი ჯილდოების ოდენობები გადასაცემი ერთჯერადი გასაცემელის სახით“ (დანართი 3) პროექტებს და წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს;

3.5. აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

3.6. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, იწვევს მაღალ-კვალიფიციურ სპეციალისტებს, ექსპერტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ ღებულობენ.

4. კომისიის წევრი - შეისწავლის განაცხადს, ახდენს შეფასებას და წარადგენს/გამოთქვამს თავის მოსაზრებებს.

5. კომისიის მიერ განაცხადების განხილვის შემდეგ, სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს, საბოლოო შედეგებთან მიმართებაში.

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები

ნომინანტების შეფასება ხორციელდება შეფასების 0 – 10 ქულიანი წესით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (დანართი 4):

1. რამდენად რეიტინგულია ნომინანტის მიერ მიღწეული წარმატება(ები) (დონე/ხარისხი):

1.1 უმაღლესი (საერთაშორისო/ქვეყნის მასშტაბურობა/დონე) - 9-10 ქულა;

1.2 მაღალი (რეგიონის მასშტაბურობა/დონე) - 7 – 8 ქულა;

1.3 წარმატებული / ქალაქის მასშტაბურობა/დონე - 6 -7 ქულა;

1.4 განვითარებადი (ნებისმიერი სხვა, გარდა ზემოთ აღნიშნული დონე/მასშტაბურობისა) - 6 ქულამდე;

2. რამდენად პროდუქტიულია ნომინანტის მიერ მიღწეული წარმატება (ები) (პროდუქტიული - სასიკეთო, სარგებლიანი, დივიდენდური, ქვეყნის, რეგიონის. ქალაქის მიმართებაში, ნებისმიერი თვალსაზრისით და განსაკუთრებით ხელოვნების მიმართულებით...):

2.1. უმაღლესი (საერთაშორისო/ქვეყნის მასშტაბურობა/დონე) - 9-10 ქულა;

2.2. მაღალი (რეგიონის მასშტაბურობა/დონე) - 7 – 8 ქულა;

2.3. წარმატებული / ქალაქის მასშტაბურობა/დონე - 6 -7 ქულა;

2.4. განვითარებადი (ნებისმიერი სხვა, გარდა ზემოთ აღნიშნული დონე/მასშტაბურობისა) - 6 ქულამდე;

3. ხელოვნების განვითარებაში, პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილი (საზღვარგარეთ თუ ქვეყნის შიგნით, პირადი, თვალსაჩინო და აღმატებული, განსაკუთრებული და გამორჩეული ღვაწლი, დამსახურება...):

3.1. უმაღლესი (საერთაშორისო/ქვეყნის მასშტაბურობა/დონე) - 9-10 ქულა;

3.2. მაღალი (რეგიონის მასშტაბურობა/დონე) - 7 – 8 ქულა;

3.3. წარმატებული / ქალაქის მასშტაბურობა/დონე - 6 -7 ქულა;

3.4. განვითარებადი (ნებისმიერი სხვა, გარდა ზემოთ აღნიშნული დონე/მასშტაბურობისა) - 6 ქულამდე;

მუხლი 9. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული ნომინაციის მიხედვით, წარდგენილ ნომინანტთა შორის, ქულათა დაჯამებით.

2. საბოლოო შედეგები (ნომინაციების მიხედვით) წარედგინება მერს.

3. რეკომენდაცია გაეწევა იმ ნომინანტებს, რომლებიც მიიღებენ ყველაზე მეტ ქულას, თითოეული ნომინაციის მიხედვით.

4. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია.

5. გადაწყვეტილების მიღება ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

6. ტექნიკური შესაძლებლობების არსებობისა და კომისიის თავმჯდომარის თანხმობით, პროცესის გამჭვირვალეობის, მოქალაქეთა მონაწილეობის, თანამშრომლობის და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაშვებია, შემოღებულ იქნეს ხმის მიცემის / გამოკითხვის ელექ-ტრონული წესი. ამ შემთხვევაში, თითოეულ ნომინაციაზე წარდგენილი, თითოეული ნომინან-ტის მიერ, ელექტრონული გამოკითხვის წესით მიღებული შედეგები - პროცენტული მაჩვე-ნებელი, გადაიყვანება იგივე, ოღონდ, რიცხობრივ მაჩვენებელში (მაგალითად 78%=78ქულას ან 41.5%=41.5ქულას), დაემატება კომისიის თითოეული წევრის მიერ, ასევე, თითოეულ ნომინა-ციაზე წარდგენილი, თითოეული ნომინანტის შეფასების ჯამურ ქულას და გამოვლინდება ფინალური მაჩვენებელი. გამარჯვებულად დასახელდება ის ნომინატი, რომელმაც დააგროვა ყველაზე მეტი ქულა.

მუხლი 10. დაჯილდოების ცერემონიალი

1. ნომინანტების დაჯილდოების ცერემონიალი იმართება ყოველი წლის დეკემბრის თვეში. მიზანი - ქალაქის საზოგადოებასთან ერთად, საზეიმოდ აღინიშნოს, დააჯილდოოს წლის ყველაზე წარმატებული ხელოვნები, კულტურის განვითარების, ქალაქ ბათუმის/ რეგიონის / ქვეყნის წარმოჩენის, აღიარებისა და პოპულარიზაციისათვის გაწეული განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

2. ფულადი ჯილდოების გადაცემის ცერემონიალის ლოკაციას, ფორმატს და სხვა ორგანი-ზაციული საკითხების დაგეგმვა - განხორციელებას, მერთან წინასწარი შეთანხმებით, უზრუნ-ველყოფს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.